ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო
ტფილისი
ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1927 წლის ივლისის 1	№ 11 განყოფილება პირველი	ა/კ. ც. ა. კომიტ. საკანონმდებლო კომისიასთან არსებული კანონთა გამოქვეყნების განყოფილების მიერ გამოცემული.

შინაარსი:

მუხ. 133. ცხენების გადაყვანის ადგილობრივი ტარიფის გაუქმებისა და ქვა-ნახშირის გადაზიდვის ტარიფის შევსების შესახებ.

„ 134. ქვისა და შშის გადაზიდვის ტარიფისა და საბინაო მშენებლობისათვის საჭირო ქვიშის სასასწორნო გამოსაღების შესახებ.

„ 135. შრომის კანონთა კოდექსის 81 და 82 მუხლების რედაქციის შეცვლის შესახებ.

„ 136. ა/კსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ტყის თვითნებისად მოჭრის აღმოჩენისათვის ტყის მცველებისა და მილიციის პრემიით დაჯილდოების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლის შეცვლის შესახებ.

„ 137. მომთაბარე ოთხფეხი საქონლისათვის სავეტერინარო-სასანიტარო ზედამხედველობის დაწესების შესახებ მისი ა/კსფსრ-ის ფარგლებში გადაყვან-გადმოყვანის დროს.

„ 138. ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შედგენისა და განხილვისათვის საჭირო სამეშაოთა კალენდარული გეგმის შესახებ.

„ 139. მარილის ტვირთის განთავისუფლების შესახებ რკინისგზით და წყალსავალი გზით შემოზიდულ და გაზიდულ ტვირთზე არსებული ადგილობრივი გადასახადისაგან იმ პუნქტებში, სადაც მარილის გადატვირთვა სწარმოებს.

„ 140. ა/კსფსრ-ის ვაჭრობის სახალხო კომისარიატსა და მის ორგანოებსა და ადგილობრივ ორგანოებს შორის კავშირის დამყარების შესახებ.

„ 141. ადგილობრივ აღმონაცენი შავი ჩაის წონად დანაწილებისა, ჩაფუთვისა და გასაყიდად გამოშვების შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის რკინის გზის გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირისა

133. **საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ცხენსაშენთა კუთვნილი ცხენების გადაყვანისათვის არსებული ამიერკავკასიის რკინისგზის მე-12 №-ის (04) ადგილობრივი ტარიფის გაუქმებისა და ტყიბულის ქვა-ნახშირის გადაზიდვისათვის არსებული ამიერკავკასიის რკინისგზის მე-6 №-ის (0,4) ადგილობრივი ტარიფის შევსების შესახებ.**

1927 წლის ივნისის 2-ს.

№ 4.

საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ცხენსაშენთა კუთვნილი ცხენების გადაყვანისათვის არსებული ამიერკავკასიის რკინისგზის მე-12-ის (04) ადგილობრივი ტარიფის გაუქმების შესახებ.

ამიერკავკასიის რკ. გზ. მე-12 №-რის (04) ადგილობრივი ტარიფი საქართველოს, სომხეთისა და „აზერბაიჯანის სახელმწიფო ცხენსაშენის კუთვნილი ცხენების გადაყვანისათვის, რომელი ტარიფიც გამოქვეყნებული გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს 508 №-ში 1924 წლის თებერვლის 20-ს და 161 №-ის ტარიფთა კრებულში 1595 სატარიფო ნომრით, ჩაითვალოს გაუქმებულად შვიდი დღის გასვლისას ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან.

ტყიბულის ქვა-ნახშირის გადაზიდვისათვის არსებული ამიერკავკასიის რკინისგზის მე-6 (0,4) №-ის ადგილობრივი ტარიფის შევსების შესახებ.

ამიერკავკასიის რკინისგზის მე-6 №-რის (0,4) ადგილობრივი ტარიფი ტყიბულის ქვა-ნახშირის გადაზიდვისათვის, რომელი ტარიფიც გამოქვეყნებულია გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს 156 №-ში და 165 და 183 №-რის ტარიფთა კრებულში, შევსებულ იქნეს შენიშვნით, რომ ეს ტარიფი გავრცელდება, როგორც ტარიფთა კრებულის მე-II ნაწილის 112 ჯგუფის მე-5 პოზიციაზე (შავი და მურა ქვა-ნახშირი, მათ შორის ლიგნიტიც), ისე ტარიფთა კრებულის იმავე 112 ჯგუფის მე-6 პოზიციაზე (ქვა-ნახშირის წვრილმანეულობა, ხაკა და შტიბი).

დამატება ეს შემოღებულ იქნეს სამუქმედოდ შვიდი დღის გასვლისას ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან და დაწესდეს ამიერკავკასიის რკინის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზის მე-6 №-რის (04) ადგილობრივი ტარიფის სრულიად გაუქმებამდე, რაც ტყიბულის ქვა-ნახშირის გადაზიდვისათვის არსებობს.

ამიერკავკასიის რკინისგზის გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის თავმჯდომარის მოადგილე **ტერ-მიქელიანი.**

საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის საქმეთა მმართველის თანამდებობის აღმასრულებელი უფრ. ეკონომისტი **ვერდერევსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1503 №-ში 1926 წ. ივნისის 16-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის რკინისგზის გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირისა.

134. ქვისა დე შეშის გადაზიდვის ტარიფისა და საბინაო მშენებლობისათვის საჭირო ქვიშის საასაწონო გამოსაღების შესახებ.

1927 წლის ივნისის 10.

№ 10/P.

ბათომისა და ფოთის პორტების გასაფართოებლად საჭირო საყორე გრანიტის ქვის გადაზიდვისათვის ადგილობრივი ტარიფის დაწესების შესახებ.

1. ა/კსფსრ-ის პორტების განყოფილებისა და შინა-წყალსავალი გზების სამმართველოს მიერ ბათომისა და ფოთის პორტების გასაფართოებლად საჭირო საყორე გრანიტის ქვის (ტარიფთა კრებ. მე-II ნაწ. 41 ჯგუფის მე-8 პოზიცია) ამიერკავკასიის რკინისგზის ტყიბულის შტოს სადგურებიდან ბათომი-ნავთსადგურისა და ფოთი-პორტის სადგურამდე ვაგონობით გადაზიდვისათვის დაწესდება ტარიფი მომქმედი სატარიფო სისტემის 28 კლასის მიხედვით.

2. დამატებითი გამოსაღები გადახდევინებულ იქნება საერთო წესით, გარდა საასაწონო გამოსაღებისა, რაც გადახდევანებულ არ უნდა იქნეს, უკეთუ ქვის აწონვა ფაქტიურად არ მოხდება.

3. ტარიფი ვაგონების მიყენებისათვის სადგურ ქუთაისიდან საკარიერო ჩიხში დაწესდება 404 №-ის ტარიფთა კრებულის 8447 №-ის ცნობის თანახმად (სასაიდლის განაკვეთი არასაერთო სარგებლობის მისასვლელ გზებზე ვაგონების მიყენებისათვის) შემდეგი რაოდენობით: ა) ლოკომოტივის მუშაობისათვის— 1 მან. 10 კაპ. კილომეტრზე (თვითეული მიმართულებით) და ბ) თვითეული ვაგონის გაელისათვის —3,25 კაპ. ვაგონზე და კილომეტრზე (თვითეული მიმართულებით).

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ტარიფი ესე შეფარდებულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ გაგზავნის ან დანიშნულების სადგურზე წარდგენილ იქნება მოწმობა, რაც დაადასტურებს, რომ ტარიფი ა/ესფარ-ის პორტების განყოფილებასა და შინა-წყალსავალი გზების სამმართველოს ეკუთვნის.

5. ტარიფი ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ შვიდი დღის გასვლისას ამა დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ და დაწესდეს ვადით—მიმდინარე 1927 წლის ოქტომბრის 1-მდე.

საქართველოს ტყის მრეწველობის ტრესტის საწყობთან, რომელიც ტფილისის სადგურზეა, შეშის გადასატვირთავად ვაგონების მიყენებისათვის ადგილმბრივი ტარიფის დაწესების შესახებ.

საქართველოს ტყის მრეწველობის ტრესტის საწყობთან, რომელიც ტფილისის სადგურზეა, შეშის გადასატვირთავად ვაგონების მიყენებისათვის დაწესდება ადგილობრივი ტარიფი 50 კაპ. რაოდენობით ვაგონზე, იმ აუცილებელი პირობით, რომ ერთი ორქლმავალით ერთსა და იმავე დროს მიყენებულ იქნეს არა ნაკლებ 6 (ექვსი) ვაგონისა.

უკეთუ ერთი ორთქლმავალით ერთად ექვს ვაგონზე ნაკლები იქნა მიყენებული, ტარიფი გადახდევინებულ იქნება საერთო წესით.

ტარიფი ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ შვიდი დღის გასვლისას ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან და დაწესდეს ვადით—მიმდინარე 1927 წლის დეკემბრის 1-მდე.

საქართველოს სამთა-მადნო ტრესტის სასაწონო გამოსაღებისაგან განთავისუფლების შესახებ ტყიბულის ქვა-ნახშირის მაღაროების საბინაო მშენებლობისათვის საჭირო ქვიშის გადაზიდვის დროს.

საქართველოს სამთო-მადნო ტრესტის მიერ ტყიბულის მაღაროების საბინაო აღმშენებლობისათვის საჭირო ქვიშის გადაზიდვის დროს (ტარიფთა კრებულის მე-II ნაწილის 38 ჯგუფი, პუნ. 27) სადგურ ქობულეთიდან სადგურ ტყიბულამდე სასაწონო გამოსაღები გადახდევინებულ არ უნდა იქნეს, უკეთუ ქვიშის აწონვა ფაქტიურად არ მოხდება.

ტარიფი ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ შვიდი დღის გასვლისას ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან და დაწესდეს ვადით—მიმდინარე 1927 წლის ოქტომბრის 1-მდე.

ამიერკავკასიის რკინისგზის გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის
თავმჯდომარის მოადგილე **ტერ-მიქაელიანი.**

საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის საქმეთა მმართველის თანამდ. აღმასრულებელი
უფრ. ეკონომისტი **ვერდერევსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1504 №-ში 1927 წლის ივნისის 17-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

135. შრომის კანონთა კოდექსის 81 და 82 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

შრომის კანონთა კოდექსის (ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერატ. კავშირის კან. კრებ. 1923 წ. № 7, მუხ. 89) 81 და 82 მუხლის შესაცვლელად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

აღნიშნული მუხლები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 81. სამსახურის საკმეების გამო წარვლინებულ მუშა-მოსამსახურეს მთლად წარვლინების დროის განმავლობაში შეენახება ადგილი და საშუალო ხელფასი და აგრეთვე მიეცემა დღიური სარგო და აენაზღაურება მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯი სპეციალურ კანონმდებლობაში განსაზღვრული წესით და რაოდენობით“.

„მუხ. 82. უკეთუ დაწესებულების თუ საწარმოს ადმინისტრაციის განკარგულებით მუშა-მოსამსახურე გადაყვანილ იქნა მეორე ადგილზე და ამის გამო საშირო გახდა საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა (მუხ. 37), ამ მუშა-მოსამსახურეს აენაზღაურება ახალ საცხოვრებელ ადგილამდე მისელის ხარჯი და მიეცემა დღიური სარგო იმ დროის განმავლობაში, რაც გზაში იქნება, და დამატებით ექვსი დღისა სასამსახურო წარვლინებისათვის დაწესებული რაოდენობით (მუხ. 81); ამის გარდა, მას მიეცემა ერთდროული დაჸმარება, თვიური ხელფასის რაოდენობით, წინანდელი სამსახურის ადგილას, ხოლო უკეთუ მასთან ერთად წავლენ მისი ოჯახის წევრებიც, რომელნიც წასვლის დროს მის რჩენაზე იმყოფებიან, მიეცემა სახსარი მათ წასაყვანად, ხოლო არა უმცირეს თვიური ხელფასის $^1/_4$-სა ოჯახის თვითეული წევრისათვის“.

ა/კ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1927 წ. ივნისის 3. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1505 №-ში 1927 წ. ივნისის 18-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

136. ა/კსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ტყის თვითნებისად მოჭრის აღმოჩენისათვის ტყის მცველებისა და მილიციის პრემიით დაჯილდოების თაობაზე“ 1926 წლის ოქტომბრის 19-ის თარიღით გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლის შეცვლის შესახებ.

ა/კსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1926 წლის ოქტომბრის 19-ის თარიღით გამოცემული დადგენილების (ა/კსფსრ-ის კან. კრებ. 1926 წ., № 13, მუხ. 757) მე-2 მუხლის შესაცვლელად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

აღნიშნული დადგენილების მე-2 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით.

„მუხ. 2. დადგენილ იქნეს შემდეგი წესი სატყეო კოდექსის დარღვევისათვის გადახდევინებული თანხის განაწილებისა და ჩარიცხვისა: 30% გადადება ტყის მცველებისა და მილიციისათვის პრემიის მისაცემად, ხოლო დანარჩენი 70% — ხაზინის შემოსავლად, საიდანაც 40% გადაირიცხება ადგილობრივ ბიუჯეტში“.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1927 წ. ივნისის 3. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1505 №-ში 1927 წ. ივნისის 18-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და აკსფრ სახალხო კომისართა საბჭოსი

137. მომთაბარე ოთხფეხი საქონლისათვის სავეტერინარო-სასანიტარო ზედამხედველობის დაწესების შესახებ მისი ა/კსფსრ-ის ფარგლებში გადაყვან-გადმოყვანის დროს.

რქოსანი საქონლის ჭირის ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი ერთი რესპუბლიკიდან მეორეში შეტანის წინააღმდეგ საბრძოლველად და მომთაბარე საქონლისათვის სავეტერინარო-სასანიტარო სედამხედველობის დასაწესებლად და განსახორციელებლად, მისი ა/კსფსრ-ის ფარგლებში გადაყვან-გადმო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყვანის დროს, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. აკრძალულ იქნეს მსხვილი რქოსანი საქონლის გადაყვან-გადმოყვანა ა/კსფსრ-ის ფარგლებში ერთი რესპუბლიკის სოფლებიდან, სადაც საქონლის პირია, მეორე რესპუბლიკაში.

2. არაპირიანი პუნქტებიდან სამთამბარეთ წასვლის წინ უნდა მოხდეს ოთხფეხი საქონლის ვეტერინარული გასინჯვა მის მუდმივ სამყოფელ ადგილას; საქონელი გასინჯულ უნდა იქნეს სათითაოდ და ზედმიწევნით და მისი წაყვანა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ცნობილ იქნება, რომ იგი სრულიად ჯანსაღია.

3. ოთხფეხი საქონლის ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი ერთი რესპუბლიკიდან მეორეში წაყვანის წინ იმ რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი, საიდანაც საქონელი მოდის, არა უგვიანეს აპრილის 1-სა გაუგზავნის იმ რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, სადაც მომთამბარენი მიდიან, მომთამბარეთა საქონლის სიას იმის აღნიშვნით, თუ რომელ მაზრაში და იალაღში მიემართებიან ისინი.

4. მომთამბარე საქონლის თანგამყოლ პასუხისმგებელ პირთ უნდა ჰქონდეთ ადგილობრივი ხელისუფლებისა და ვეტერინარა-ექიმის გასასვლელი მოწმობა, სადაც უნდა აღინიშნოს:

ა) იმ ადგილის კეთილმდგომარეობა, სადაც საქონელი მოდის;

ბ) საქონლის ვეტერინარული გასინჯვის დრო და ადგილი;

გ) საქონლის გასვლის დრო და ადგილი;

დ) ის გზა, რომელიც საქონელმა უნდა გაიაროს იმ რესპუბლიკის საზღვრამდე, სადაც იგი სამთამბაროდ მიდის;

ე) საქონლის რაოდენობა: რამდენია მსხვილფეხა საქონელი (ცალ-ცალკე უნდა აღინიშნოს რაოდენობა მოზრდილი საქონლისა და ხბორებისა ერთ წლამდე), წვრილფეხა (ცხვარი და თხა) და კამეჩი;

ვ) სახელი და გვარი იმ პასუხისმგებელ პირთა, რომელნიც საქონლის ამა თუ იმ პარტიას მიჰყვებიან.

5. წინა მუხლში აღნიშნული გასასვლელი მოწმობა ძალაში რჩება და კანონიერია მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში საქონლის გასინჯვის დღიდან.

6. ერთი რესპუბლიკიდან მეორეში მიმავალმა მომთამბარე საქონელმა საზღვარი უნდა გაიაროს მხოლოდ დროებით საგასასინჯო პუნქტებში, რაც საქონლის სამთამბარო გადაყვან-გადმოყვანის პერიოდისათვის დაწესებულია იმ რესპუბლიკის მიერ, სადაც საქონელი მიდის.

შენიშვნა. ის გზები, რაც საქონელმა უნდა გაიაროს, და აგრეთვე საგასასინჯო პუნქტები დაწესებულ უნდა იქნეს დაინტერესებულ რესპუბლიკანურ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთა შეთანხმებით.

7. მომთამბარე საქონლის თანგამყოლი პირნი, მეზობელი რესპუბლიკის საზღვარზე მისვლისას, ვალდებულ არიან წარუდგინონ საგასასინჯო პუნქტის გამგე ვეტერინარა-ექიმს ან იმ პირს, ვინც გამგის მაგიერად არის, მე-4 მუხ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლში აღნიშნული მოწმობა, ფრომლისოდაც საქონელი მეორე რესპუბლიკის ფარგლებში არ შეიშვება.

8. მეზობელი რესპუბლიკის საზღვარზე მისული მომთაბარე საქონელი, უკეთუ მე-4 მუხლში აღნიშნული საჭირო მოწმობები არის და ამასთანავე ეს მოწმობები მე-5 მუხლის მოთხოვნას შეეფერება, უნდა გაისინჯოს და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცნობილ იქნება, რომ საქონელი ჭირის მხრივ სრულიად საიმედოა, გაიცემა ახალი მოწმობა გასინჯვის შედეგის შესახებ, სადაც აღინიშნება ის გზა, რომელიც საქონელმა დანიშნულების ადგილამდე უნდა გაიაროს.

9. მომთაბარე საქონლის პარტია, რომელიც საგასასინჯო პუნქტში ჭირის მხრივ არასაიმედოდ იქნება ცნობილი, მეზობელი რესპუბლიკის ფარგლებში არ შეიშვება.

10. რესპუბლიკის ფარგლებში შეშვებულმა მომთაბარე საქონელმა დანიშნულების ადგილამდე უნდა გაიაროს მხოლოდ იმ გზით, რაც აღნიშნულია საგასასინჯო პუნქტის მიერ გაცემულ მოწმობაში; ამასთანავე, როგორც გზაში, ისე საძოვარ ადგილას და აგრეთვე უკან დაბრუნების დროს მომთაბარე საქონელი ემორჩილება რესპუბლიკაში მომქმედ წესებსა და დადგენილებებს საქონლის გადაყვან-გადმოყვანის წესისა და პირობების შესახებ.

11. ამა დადგენილების მე-4 და მე-8 მუხლში აღნიშნული ყალბი მოწმობების გაცემისათვის დამნაშავე ვეტერინარ-ექიმი მიიცემა პასუხისგებაში, როგორც სამსახურში ჩადენილი სიყალბისათვის.

12. ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს წინადადება ეძლევა დაავალონ თავიანთ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს — გამოსცენ სავალდებულო დადგენილებანი, რითაც მოწესრიგებულ უნდა იქნეს საგასასინჯო პუნქტების მოწყობა, ვეტერინარულ-სანიტარული გასინჯვა და რესპუბლიკის ფარგლებში სამთაბარო საქონლის გადაყვან-გადმოყვანა, და ამასთანავე განმარტონ, რომ ხსენებულ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის დამნაშავენი დაისჯებიან, როგორც მმართველობის წესით გამოცემულ დადგენილებათა დარღვევისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1927 წ. ივნისის 3. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1509 №-ში 1927 წ. ივნისის 23-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 24 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

138. ა/კსფსრ-ის 1927-28 საბიუჯეტო წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისა და განხილვისათვის საჭირო სამუშაოთა კალენდარული გეგმის შესახებ.

ა/კსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაწესებულ იქნეს შემდეგი ვადები დამოუკიდებელი ხარჯთაღრიცხვის მქონე უწყებებისა და დაწესებულებების მიერ 1927-28 საბიუჯეტო წლის საფინანსო ხარჯთაღრიცხვების პროექტების ა/კსფსრ-ის ფინანსთა სახალხო კომისარიატში წარდგენისათვის:

1. ა/კსფსრ-ის ტერიტორიაზე მომქმედი საერთო-საკავშირო უწყებებისათვის არა უგვიანეს:

ივლისის 1-სა—სსრ კავშირის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსფსრ-ში) სამმართველოს, ადგილობრივი ტრანსპორტის ამიერკავკასიის ოლქისა და ა/კსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სსრ კავშირის გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოსათვის, აგრეთვე იმ ხარჯებისათვის, რაც შეტანილია სსრ კავშირის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოსათვის, აგრეთვე იმ ხარჯებისათვის, რაც შეტანილია სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ხარჯთაღრიცხვაში; სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატისა, გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს, საბადრაგო ნაწილისა, სამხედრო-სასანიტარო სამმართველოს, ამიერკავკასიის რკინის გზებისა და შავიზღვის რკინისგზისათვის და აგრეთვე ალიათ-ჯულფისა და ყათარის რკინისგზის შტოებისათვის.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ-ის ფინანსთა სახალხო კომისარიატს წარუდგინოს ხოლმე სახალხო კომისართა საბჭოს პროექტი დასკვნებისა ა/კსფსრ-ის ტერიტორიაზე მომქმედ საერთო-საკავშირო უწყებათა ხარჯთაღრიცხვების შესახებ, რისთვისაც ხსენებულმა კომისარიატმა უნდა იხელმძღვანელოს ა/კსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის მაისის 12-ის (ოქმი № 9, § 9) საოქმო დადგენილება.

3. ა/კსფსრ-ის გაერთიანებული უწყებებისა და ცენტრალური დაწესებულებების მიერ 1927 წლის ხარჯთაღრიცხვების წარდგენის ვადად დადგენილ იქნეს ა/წ. ივლისის 15.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგივე ვადა დაწესდეს ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს ხარჯთაღრიცხვის წარდგენისათვის და აგრეთვე მის მიერ განცხადებათა შეტანისათვის 1927-28 წლის საირიგაციო მუშაობის ფინანსიურად მოგვარების შესახებ, როგორც ა/კსფსრ-ის ბიუჯეტით, ისე საერთო-საკავშირო ბიუჯეტით.

4. ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიერ მათი ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტებისა და სახალხო მეურნეობის ცალკე დარგების (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ელექტროფიკაცია, ღონისძიებანი ეაკრობის განვითარებისათვის და კომუნალურ მეურნეობისა და საბინაო მშენებლობის საქმის ფინანსიურად მოგვარებისათვის, კოოპერაცია და აღმშენებლობა) 1927-28 წ. ფინანსიურად მოგვარების შესახებ განცხადებების წარდგენის ვადად დაწესებულ იქნეს ა/წ. აგვისტოს 15.

5. ცნობილ იქნეს, რომ ზემოხსენებული ვადები უკიდურესია, და წინადადება მიეცეს ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და აგრეთვე ა/კსფსრ-ის უწყებებსა და დაწესებულებებს თავიანთი მუშაობა ამ ვადების მიხედვით გაანაწილონ.

6. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ-ის ფინანსთა სახალხო კომისარიატს წარუდგინოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას და იმავე დროს ა/კსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს ა/კსფსრ-ის 1927-28 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი ყველა დადგენილი მასალითა და დანართით — 1927 წლის სექტემბრის 5-ს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს

თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

ტფილისი-სასახლე. 1927 წ. ივნისის 23.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1511 №-ში 1927 წ. ივნისის 25-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს

139. მარილის ტვირთის განთავისუფლების შესახებ რკინისგზით და წყალსავალი გზით შემოზიდულ და გაზიდულ ტვირთზე არსებული ადგილობრივი გადასახადისაგან იმ პუნქტებში, სადაც მარილის ტვირთის გადატვირთვა სწარმოებს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ა/კსფსრ-ის ადგილობრივი ფინანსების 1927 წ. აგვისტოს 9-ს დებულების (ა/კსფსრ-ის კან. კრებ. 1926 წ. № 8, მუხ. 697) 34 მუხლს დაემატოს პუნქტი „დ¹" შემდეგი შინაარსისა:

„დ[1]) მარილის ტვირთი ქ. ბაქოში მისი გადატვირთვის ადგილას წყალსავალი ტრანსპორტიდან რკინისგზის ტრანსპორტში ან წინააღმდეგ, გარდა მარილის იმ ტვირთისა, რაც დანიშნულია ადგილობრივი ბაზრისათვის“.

2. ზემოაღნიშნული დებულების 34 მუხლის მე-3 შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„შენიშვნა 3. ამა მუხლის „ბ“, „გ“, „დ“, და „დ[1]“ პუნქტებში აღნიშნული ტვირთი ადგილობრივი გადასახადისაგან განთავისუფლდება მხოლოდ მისი შემოზიდვისა და გადატვირთვის ადგილას“.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი-სასახლე. 1927 წ. ივნისის 20.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1513 №-ში 1927 წ. ივნისის 29-ს.

დადგენილება № ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

140. ა/სფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატსა და მის ორგანოებსა და ადგილობრივ ორგანოებს შორის კავშირის დამყარების შესახებ.

ა/კსფსრ-ის ვაჭრობის სახალხო კომისარიატსა და მის ორგანოებსა და ადგილობრივ ორგანოებს შორის კავშირის დასამყარებლად ა/კსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს მოაწყონ ყველა ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტთან შინა-ვაჭრობის კომისიები აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა რიცხვიდან გამოყოფილი პირის თავმჯდომარეობით; კომისიის შედგენილობაში უნდა შევიდნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელნი, როგორნიც არიან: გლეხთა კომიტეტი, დუქნებისა და კოოპერატიული კომისიები, პროფ. კავშირთა საბჭო და სხვ

2. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ კომისიებს დაეკისრება ზედამხედველობა გაუწიონ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა და მისი ორგანოების დადგენილებათა და განკარგულებათა სისწორით შესრულებას ადგილობრივ, კერძოდ, ფასების დაკლების კამპანიის განხორციელებისათვის გამოცემულ დადგენილებათა და განკარგულებათა შესრულებას; კომისიებს დაევალებათ აგრეთვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილი წესისამებრ მისცენ ხოლმე სისხლის სამართლის პასუხისგებაში იმ წესების დამრღვევი პირნი, რაც ვაპრობის საქმეს აწესრიგებს.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ-ის ვაპრობის სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს სპეციალური ინსტრუქცია 1-ლ მუხლში აღნიშნული კომისიების მოქმედების შესახებ და აანალიზოს ორგანოების (ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში) ეშშეობით თვალყური ადევნოს ამ მოქმედებას, რისთვისაც ივი მუდმივ კავშირს ეჭიროს ბუნებულ კომისიებთან.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

ტფილისი-სასახლე. 1927 წლის ივნისის 16.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1514 №-ში 1927 წლის ივნისის 30-ს.

დადგენილება № 26 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

141. ადგილობრივ აღმონაცენი შავი ჩაის წონად დანაწილებისა, ჩაფუთვისა და გასაყიდად გამოშვების შესახებ.

ა/კსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ადგილობრივ აღმონაცენი შავი ჩაის წონად დანაწილებისა, ჩაფუთვისა და გასაყიდად გამოშვების უფლება ა/კსფსრ-ის ფარგლებში ეძლევა მარტოოდენ სააქციო საზოგადოებას „საქართველოს ჩაი"-ს, ამიერკავკასიის კოოპერატივთა კავშირს და ამიერკავკასიის სახელმწიფო ვაპრობის საქმართველოს.

2. ყველა დანარჩენ ორგანიზაციასა და პირს და აგრეთვე ჩაის კერძო მწარმოებელს ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან აეკრძალება დამზადებული შავი ჩაის წონად დანაწილება, ჩაფუთვა და გასაყიდად გამოშვება.

3. მიეცდოს ა/კსფსრ-ის ვაპრობის სახალხო კომისარიატსა და ფინანსთა სახალხო კომისარიატს იხმარონ სათანადო ღონისძიება ამა დადგენილების საჩქაროდ განხორციელებისათვის.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

ტფილისი-სასახლე. 1927 წ. ივნისის 16.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1514 №-ში 1927 წ. ივნისის 30-ს.

საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.
ტირაჟი № 1972. დაიბეჭდა 800.

ტფილისი
ეროვნული ბიბლიოთეკა